ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს

საკონკურსო - საატესტაციო კომისიის სხდომის

ოქმი №1

ქ. ბათუმი

05 იანვარი, 2016 წ.

დაიწყო: 13:30 საათზე
დასრულდა: 14:00 საათზე

საკონკურსო - საატესტაციო კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა **ლეილა გურგუჩიანი,** ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის მ/შ, საკონკურსო - საატესტაციო კომისიის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:

1.საკონკურსო - საატესტაციო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე **თეიმურაზ ქათამაძე** - ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს ქედის მაგისტრი მოსამართლე.

2. ხვიჩა კიკილაშვილი-ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს მოსამართლე-- საკონკურსო-საატესტაციო კომისიის წევრი.

3. ნანა ჭანტურიძე-ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს მენეჯერი - საკონკურსო-საატესტაციო კომისიის წევრი.

არ გამოცხადდნენ კომისიის შემდეგი წევრები:

ადამ მახარაძე- ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოც. მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანი.

ქეთევან თხელიძე -ზესტაფონის რაიონული სასამართლოს პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის თავმჯდომარე
სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული იყო ორი საკითხი :

1. ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს აპარატის ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსის ჩატარება.
2. კონკურსის ჩატარების პროცედურების განსაზღვრა.

1. კომისიის წევრებმა მოისმინეს ლეილა გურგუჩიანის ინფორმაცია, რომლის თანახმადაც ,,საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 30-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, კონკურს ექვემდებარება შემდეგი სამტატო თანამდებობა:

ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში:

N	თანამდებობის დასახელება	ვაკანსია
1	ქსელის ადმინისტრატორი	1

2. კომისიის წევრებმა მოისმინეს ლეილა გურგუჩიანის ინფორმაცია, კონკურსის ჩატარების პროცედურების თაობაზე, რომლის თანახმადაც სასურველია:

- კონკურსი ჩატარდეს გასაუბრების ფორმით;

- კონკურსში მონაწილეობა მიიღოს მხოლოდ იმ კანდიდატმა, რომელიც განაცხადის (აპლიკაციის) გადარჩევის საფუძველზე დააკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს;

- კონკურსში მონაწილეობის მიღების თაობაზე დაკავშირება მოხდეს მხოლოდ შერჩევის შედეგად შემდეგ ეტაპზე გადასულ კანდიდატთან მის მიერ განაცხადში მითითებული ტელეფონის ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით;

- საჯარო სამსახურის ბიუროს ადმინისტრაციული ვებგვერდის მეშვეობით კონკურსი გამოცხადდეს 2016 წლის 08 იანვარს, განცხადებების წარდგენის ბოლო ვადად განისაზღვროს 2016 წლის 18 იანვარი.

ხელვაჩაურის საკონკურსო-საატესტაციო კომისიამ განიხილა ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში კონკურსის გამოცხადების საკითხი და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში გამოცხადდეს კონკურსი აპარატის მოხელეთა ვაკანტურ თანამდებობაზე;
2. კონკურსი ჩატარდეს გასაუბრების ფორმით;
3. საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნომ უზრუნველყოს წარმოდგენილი განაცხადების შესაბამისობის შემოწმება დადგენილ მოთხოვნებთან;
4. კონკურსში მონაწილოება მიიღოს მხოლოდ იმ კანდიდატმა, რომელიც განაცხადის (აპლიკაციის) გადარჩევის საფუძველზე დააკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს;
5. კონკურსში მონაწილეობის მიღების თაობაზე დაკავშირება მოხდეს მხოლოდ შერჩევის შედეგად შემდეგ ეტაპზე გადასულ კანდიდატთან მის მიერ განაცხადში მითითებული ტელეფონის ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით;
6. საჯარო სამსახურის ბიუროს ადმინისტრაციული ვებგვერდის მეშვეობით კონკურსი გამოცხადდეს 2016 წლის 08 იანვარს, განცხადებების წარდგენის ბოლო ვადად განისაზღვროს 2016 წლის 18 იანვარი.

კომისიის თავმჯდომარე:

ლეილა გურგუჩიანი -

თავმჯდომარის მოადგილე:

თეიმურაზ ქათამაძე

კომისიის წევრი:

ხვიჩა კიკილაშვილი

ნანა ჭანტურიძე